საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

კონკურსის „ახალი ქართული წიგნი“

პირობები

კონკურსი განხორციელდება განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N71 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის ,,კულტურის ხელშეწყობა“ (32 10 02)

პრიორიტეტის **„ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობა“** ფარგლებში

მუხლი 1. კონკურსის „ახალი ქართული წიგნი“ მიზანი

1.1. კონკურსის **„ახალი ქართული წიგნი“** (შემდგომში-კონკურსი) მიზანია: ქვეყანაში ლიტერატურული პროცესების განვითარება, ქართული მხატვრული ლიტერატურის სფეროში ახალი გამოცემების ხელშეწყობის გზით.

1.2. თანამედროვე ავტორების პოპულარიზაცია, ახალი გამოცემების ხელშეწყობის გზით;

1.3. სალიტერატურო სფეროში მოღვაწე ავტორთა საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებული ახალი გამოცემების ხელშეწყობა.

მუხლი 2. კონკურსის პირობები

2.1. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიული პირებს (შემდგომში კონკურსანტი) - გამომცემლებს/საგამომცემლო სახლებს, რომლებსაც საგამომცემლო სფეროში მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება აქვთ.

2.2. კონკურსის ფარგლებში დაფინანსდება თანადაფინანსების ან/და თვითდაფინანსების მქონე კონკურსანტი.

2.3. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში-სამინისტრო) მიერ კონკურსისათვის გამოყოფილი საერთო ბიუჯეტი შეადგენს **45 000** ლარს;

2.3. კონკურსანტს აღნიშნულ კონკურსში შეუძლია არაუმეტეს 2 საკონკურსო განაცხადის (შემდგომში პროექტი) წარმოდგენა, რომელთა ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს **5 000 ლარს** და უნდა ითვალისწინებდეს მხოლოდ **ბეჭდვის ხარჯების დაფარვას.**

2.4. კონკურსანტის მიერ ერთზე მეტი საკონკურსო პროექტის წარმოდგენის შემთხვევაში, საკონკურსო განაცხადის ფორმა ივსება ცალ-ცალკე.

ა) კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით კონკურსანტმა განაცხადი უნდა წარმოადგინოს, მხოლოდ წიგნად გამოუცემელი ნაწარმოების/ების შესახებ;

ბ) პოეტური კრებულის გამოცემის თანადაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში დასაშვებია ტექსტის მხოლოდ **ერთი მესამედი** გამოქვეყნებული იყოს წინა გამოცემებში.

გ) კონკურსის ფარგლებში წარმოსადგენი მხატვრული ლიტერატურა ჟანრობრივად არ არის შეზღუდული.
დ) კონკურსი არ ითვალისწინებს სასწავლო და სამეცნიერო ხასიათის გამოცემების ხელშეწყობას.

2.5 უპირატესობა შესაძლოა მიენიჭოს იმ პროექტებს, რომლებიც ითვალისწინებენ სალიტერატურო სფეროში მოღვაწე ავტორთა საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით წიგნის/ების გამოცემას, მათი შემოქმედების წარმოჩენა-პოპულარიზაციის მიზნით.

2.6. კონკურსში წარმოდგენილი პროექტის დაწყების თარიღი განისაზღვრება არა **უადრეს 2019 წლის 15 ივნისისა** ხოლო დასრულების თარიღად არა უგვიანეს **2019 წლის 1 დეკემბრისა;**

მუხლი 3. საკონკურსო პროექტების წარმოდგენის პირობები

3.1კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) განცხადება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის სახელზე დანართი N1-ის;
ბ) საკონკურსო განაცხადი დანართი N2-ის - შესაბამისად;

გ) პარტნიორების ფინანსური ან სხვა ტიპის თანამონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ხელშეკრულება ან წერილი);

დ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან კონკურსანტის შესახებ და ბანკის მიერ გაცემული დოკუმენტი, ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტების შესახებ.

ე) გამოცემის მოკლე აღწერა (PDF დოკუმენტი); კრებულის შემთხვევაში - გამოცემის დეტალური აღწერილობა (ავტორების და ნაწარმოებების მითითებით;

ვ) გამოსაცემად მომზადებული წიგნის ავტორის ან/და საავტორო და მომიჯნავე უფლებების მქონე პირის/პირების წერილობითი თანხმობა/ნებართვა წიგნის გამოცემაზე.

3.2 კონკურსანტი უფლებამოსილია შეცვალოს წარმოდგენილი განაცხადი, ან/და დამატებით წარმოადგინოს დოკუმენტაცია, მხოლოდ საკონკურსო განაცხადების მიღების ვადის დასრულებამდე;

3.3 კონკურსში გამარჯვებული პროექტების განმახორციელებელ ორგანიზაციებთან პროექტის განხორციელებამდე დაიდება შესაბამისი ხელშეკრულება.

3.4 პროექტის განხორციელების შემდეგ, პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია სამინისტროს წარმოუდგენს ანგარიშს პროექტის განხორციელების შესახებ დანართი N4-ის შესაბამისად (ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით) და გამოცემული წიგნის 1 საპრეზენტაციო ეგზემპლართან ერთად.

3.5 კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია, გამოცემულ წიგნში აღნიშნოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გაწეული მხარდაჭერის შესახებ.

მუხლი 4. შერჩევის კრიტერიუმები

4.1 სამინისტროში რეგისტრირებულ საკონკურსო განაცხადებს განიხილავს და შეაფასებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის (შემდგომში - მინისტრი) მიერ დამტკიცებული საკონკურსო კომისია;

4.2. გამარჯვებული პროექტების გამოვლენა განხორციელდება საკონკურსო კომისიის წევრების მიერ პროექტის ქულობრივი შეფასების საფუძველზე, 100 ქულის ფარგლებში

N	შეფასების კრიტერიუმი
1	**პროექტის შესაბამისობა კონკურსის მიზნებთან**
2	**პროექტის მოსალოდნელი შედეგები (მდგრადობა)**
3	**ბიუჯეტის შესაბამისობა პროექტის მიზანთან მიმართებაში**
4	**შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება**
5	**პარტნიორების ფინანსური ან სხვა ტიპის თანამონაწილეობა**

4.3. კონკურსში გამარჯვებულად ცხადდება ის პროექტი, რომელიც ქულათა მეტ რაოდენობას მიიღებს. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვავაში უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტს, რომელიც 1-ელი და მე-2 კრიტერიუმების ქულობრივი შეფასებით დააგროვებს უფრო მაღალ ქულათა ჯამს. 1-ელ და მე-2 კრიტერიუმებში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კომისიის თავმჯდომარე.

4.4. კომისიის მიერ მოწონებულად მიიჩნევა ის კონკურსანტი, რომლის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადი (შემდგომში პროექტი) დააგროვებს ქულათა მეტ რაოდენობას.

4.5. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია გამარჯვებული პროექტის შესახებ მიიღოს გადაწყვეტილება:

ა) პროექტის მოწონების შესახებ;

ბ) პროექტის ხელშეწყობაზე უარის თქმის შესახებ;

გ) რეკომენდაცია პროექტის კორექტირების შესახებ.

4.6. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, გამარჯვებულ კონკურსანტს, მოსთხოვოს, მისთვის კომისიის მიერ განსაზღვრული დაფინანსების ფარგლებში, წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადის დაზუსტების ან სხვა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.

4.7. საკონკურსო კომისიის მოთხოვნა, დამატებითი ინფორმაციის ან/და დაზუსტებული განაცხადის (დანართი N3) წარმოდგენის თაობაზე, კომისიის მდივნის მიერ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის culture@mes.gov.ge საშუალებით ეცნობება კონკურსანტს;
4.8. კონკურსანტი ვალდებულია დაზუსტების მიზნით, კომისიის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგინოს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 დღის ვადაში.
4.9. კონკურსანტის მიერ ინფორმაციის წარმოუდგენლობის, ან ხარვეზით, ან ვადის დარღვევით წარმოდგენის შემთხვევაში, კონკურსანტი მოიხსნება კონკურსიდან.
4.10. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელიც წარედგინება მინისტრს;
4.11. კომისიის მიერ მიღებული დადებითი გადაწყვეტილებების საფუძველზე მოწონებული პროექტების ნუსხა მტკიცდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და გამარჯვებული პროექტების განმახორციელებელ ორგანიზაციებთან პროექტის განხორციელებამდე დაიდება შესაბამისი ხელშეკრულება.

მუხლი 5. ანგარიშსწორების წესი:
5.1. ანგარიშსწორება კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
5.2. კონკურსში გამარჯვებული პროექტის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებით ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შემდეგ.

მუხლი 6. კონკურსის ვადები

6.1. საკონკურსო განაცხადები მიიღება **2019 წლის 1 აპრილიდან 29 აპრილის 15:00 სთ-მდე** საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროში, მისამართზე: თბილისი სანაპიროს ქ. N4, ან თბილისი უზნაძის ქ. N52.
5.2. განაცხადის წარმოდგენასთან და კონკურსთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე კონსულტაციები გაიმართება სამინისტროში 2 ეტაპად:
ა) 2019 წლის 5 აპრილს 14:00 სთ-ზე;
ბ) 2019 წლის 18 აპრილს 14:00 სთ-ზე;
მისამართზე: თბილისი სანაპიროს ქ. N4.
5.3. ინფორმაცია კონკურსში გამარჯვებული პროექტების შესახებ გასაჯაროვდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ვებგვერდზე: www.mes.gov.ge **2019 წლის არაუგვიანეს 25 მაისისა.**
5.4. კონკურსის დასრულების შემდეგ, საკონკურსო განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია სამინისტროს მიერ კონკურსანტს უკან არ დაბრუნდება.